## წერილის შეფასების სქემა (დავალება 7)

### ეროვნული გამოცდები / უცხოური ენები
### მაქსიმალური ქულა 6

| ქულა | აღწერა |
|---|---|
| 6 | ნაწერი **ძალიან კარგია**. მოსაზრება კარგად ჩანს. გამოყენებულია **მრავალფეროვანი** გრამატიკული სტრუქტურები და მდიდარი ლექსიკა. სრულად და არგუმენტირებულად პასუხობს დავალებას. შეცდომები არ არის, ან დაშვებულია, ხოლო ერთი მართლწერის შეცდომა. |
| 5 | ნაწერი **კარგია.** მოსაზრება კარგად ჩანს. გამოყენებულია **კარგი** გრამატიკული სტრუქტურები და ლექსიკა. სრულად პასუხობს დავალებას. შეცდომები უმნიშვნელოა. **ან:** ნაწერია ძალიან კარგია, თუმცა პასუხი მხოლოდ ორ შეკითხვაზეა გაცემული. |
| 4 | ნაწერი **საშუალო დონისაა**. მოსაზრება ჩანს. გამოყენებულია **საშუალო სირთულის** გრამატიკული სტრუქტურები და ლექსიკა. შეცდომები ცოტაა (უმეტესწილად, ხელს არ უშლის აზრის გაგებას) **ან:** მოცემულია პასუხების მექანიკური ჩამონათვალი. **ან:** ნაწერია კარგია, თუმცა პასუხი მხოლოდ ორ შეკითხვაზეა გაცემული. |
| 3 | ნაწერი **საშუალოზე დაბალი დონისაა**. გამოყენებულია **მარტივი** გრამატიკული სტრუქტურები და ლექსიკა; შეცდომები თვალშისაცემია (ხშირად ხელს უშლის აზრის გაგებას). **ან:** ნაწერი საშუალო დონისაა, თუმცა პასუხი მხოლოდ ორ შეკითხვაზეა გაცემული. **ან:** გამოყენებულია ბევრი ზოგადი სახის დაზეპირებული ფრაზა, რაც ყველა დავალებაზე შეიძლება წავიდეს. |
| 2 | ნაწერი **სუსტია.** გრამატიკა და ლექსიკა **მეტად მარტივი** და ერთფეროვანია, შეცდომები ხშირია. აზრი, ზოგ შემთხვევაში, ბუნდოვანია. **ან:** პასუხი გაცემულია მხოლოდ ერთ შეკითხვაზე ან: დაწერილია მხოლოდ 2-3 ხაზი. |
| 1 | ნაწერი **ძალიან სუსტია** და/ან დაწერილია მხოლოდ 1-2 ხაზი და/ან შეცდომები დაშვებულია ყოველ წინადადებაში; აზრი ბუნდოვანია. |
| 0 | ნაწერი არ პასუხობს დავალებას/არ არის დასმული არც ერთი შეკითხვა ან ფურცელი ცარიელია. |